საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 27 სექტემბრის
დადგენილება № 771

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების
ცვლილებების/მოდიფიცირების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განხორციელდეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 6 ივლისის № 733 დადგენილებით დამტკიცებულ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „მშენებლობა“ და დაემატოს შემდეგი სამაგისტრო თემატიკები:

ა)„ნაგებობათა გამოცდისა და ტექნიკური ექსპერტიზის“ სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკა „საინჟინრო მექანიკა“;

ბ)„მშენებლობის ტექნოლოგიის“ სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკა „მშენებლობის მენეჯმენტი“;

გ)„ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობის“ სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკა „ჰიდროტექნიკური მშენებლობის მენეჯმენტი“;

დ)„ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობის“ სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკა „ეკოლოგია (საინჟინრო ჰიდროეკოლოგია)“.

2. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „კომუნიკატივისტიკა და სიძველეთა ინჟინერინგი” შეეცვალოს სახელწოდება „მასობრივი კომუნიკაციით” და დაემატოს სამაგისტრო პრაქტიკის ელემენტი.

3. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის და საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდეს ცვლილებები მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „მათემატიკის სწავლების მეთოდიკა და მეთოდოლოგია" - პროგრამის ხელმძღვანელი სრული პროფესორი ვლადიმერ ხოჭოლავა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

სხდომის მდივანი თ. ლომინაძე